საქართველო

№ 44 (71) ქართული ლეგიონის ყოველკვირეული გაზეთი 31 ოქტომბერი, 1943 წ.

ალბანეთი

უმრავლესობისათვის ალბანეთი წარმოადგენს იმ მივიწყებულ მხარეს, რომლის ირგვლივ უკანასკნელ ხანებში ცოტა რამ თუ იწერებოდა. ალბანეთი, ევროპის ის მხარეა, რომელმაც დღემდე ყველაზე უფრო კარგათ შეინახა თავისი აღმოსავლური ხასიათი. ალბანეთის მილიონ ნახევარი მცხოვრებიდან 70 პროცენტი მაჰმადიანია.

ალბანეთის სოციალური სტრუქტურა არსებითად იმაში გამოიხატება, რომ რამოდენიმე ათეული ოჯახი, რომელსაც განაგებს ფაშა ან ბეი და რომლის განკარგულებაშია დიდი მამულები, ცხოვრებითა და ტრადიციით იმის დამადასტურებელია, რომ ალბანეთი 1479—1912 წლამდე თურქეთს ეკუთვნოდა.

ოთხნახევარი საუკუნის განმავლობაში, ალბანეთი თითქოს ერთ წერტილზე იყო გაყინული. მაშინ, როცა ბალკანელი ხალხი, ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში განთავისუფლდა თურქეთის ბატონობისაგან, ალბანეთმა, მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში შექმნა თავისი სახელმწიფო.

ალბანეთის ვასალურმა დამოკიდებულებამ თურქეთის იმპერიასთან, გამოიწვია მისი ევროპისაგან დაშორება: გარდა ამისა ალბანეთის მთიანი რელიეფი იყო მიზეზი იმისა, რომ ის წარმოადგენს ურკინიგზო მხარეს. ალბანეთის ჩამორჩენილობას ამტკიცებს ის ფაქტიც, რომ იქ დღემდე შენარჩუნებულია სისხლის ვალის გადახდა, როგორც ტრადიციული კანონი. დამახასიათებელია ისიც, რომ 1920 წელს მხოლოდ მის შემდეგ როცა გამოცხადდა სისხლის ვალის გადახდის დროებით შეწყვეტა, შესაძლებელი გახდა კონსტიტუციის გამომმუშავებელი სხდომის მოწვევა. მეტად ღირსშესანიშნავია აგრეთვე ერთი გარემოება, რომელსაც ტრაგიკული მნიშვნელობა ჰქონდა ალბანელთათვის. ხალხმა, რომელმაც ასე ცოტა გააკეთა თავისი კულტურული დონის ამაღლებისათვის, მიუხედავად თავისი ეგოისტური რეალიზმისა, მთელირიგი საუკეთესო ძალები მისცა სხვა ხალხს. ალბანელთა მისწრაფება ექსპანსიისაკენ და ემიგრაციისაკენ მეტად დიდი იყო. სამხრეთ იტალიაში შექმნილია ცოცხალი და კეთილმოწყობილი ალბანური სოფლები. სწორედ ამ იტალიელი ალბანელებისაგან წარმოიშვა იტალიის გამოჩენილი პოლიტიკოსი კრისპი, რომელმაც ითამაშა გადამწყვეტი როლი იტალიის პრუსიასთან და გერმანიასთან დაახლოების საქმეში.

დიდი გასავალი ჰქონდათ ალბანელებს ოსმანთა იმპერიაში, რომელიც ყოველთვის საჭიროებდა ხალხს. ვეზირები და მხედართმთავრები სახელის წინ ატარებდნენ წოდებას „ალბანელი".

სინანი, გენიალური არქიტექტორი სტამბოლის, ბურსეს და ედირნეს სამი საუკეთესო და უმდიდრესი მეჩეთისა, იყო ალბანელი. დღევანდელი ეგვიპტისა და სამეფო სახლის ფუძემდებელი იყო მამედ ალი. ეგვიპტის დინასტია წარმოიშვა ალბანეთიდან.

ყველაზე სახელგათქმული ალბანელი იყო სკანდერ ბეგი, რომლის პიროვნება მოსილია ნაციონალური ლეგენდით. მისი ნამდვილი გვარი იყო გიორგი კასტრიოტა, იგი იყო შვილი ალბანეთის ყველაზე უძლიერესი ფეოდალისა. მე-15 საუკუნის დასაწყისში იგი თავის სამ ძმასთან ერთად მძევლად იყო კონსტანტინეპოლის სასახლეში. ის იზრდებოდა მკაცრი მაჰმადიანური წესით, გახდა შესანიშნავი მხედარი, რითაც მტრად მეორის ყურადღება დაიმსახურა. როცა მას შეუსრულდა 18 წელი, სულთანმა მისცა საჩუქრად სანჯაკი და დაარქვა სახელად ის-

კანდერ ბეგი ანუ თავადი ალექსანდრე, როგორც სიმბოლო იმისა, რომ ალექსანდრე მაკედონელიც ამ წლოვანობის დროს გაემგზავრა ქვეყნის დასაპყრობად.

ისკანდერ ბეგის ცხოვრება თითქოს წააგავდა მისი დედის ლეგენდარულ ძილს, სადაც გველი, რომელიც მან დაჰბადა, ჰყლაპავდა რა მთელ თურქეთს, კუდით აძლევდა ადრიატიკის ზღვა. 1443 წელს ისკანდერ ბეგი თურქეთის დამარცხების შემდეგ გაიქცა თავის სამშობლოში, რომელმაც დაიწყო მადლობა და ერთგულება მხედრისა თავისი სამშობლოსადმი. სამშობლოში ის აერთიანებს ფეოდალებს თავის გარშემო და იცავს ქრისტიანულ ევროპას. 30 წელიწადი აწარმოებს იგი განუწყვეტელ ბრძოლას და არა ერთხელ ამარცხებს კონსტანტინეპოლის დამპყრობელს მეორე მეორეს და მის შვილს მაჰმადს. სულთანი ხშირად ალიარებდა მის მამაცობასა და ნებისყოფას. ობიექტური ქრონიკისი ამ ეპოქისა, მას უწოდებს გმირულ გამანთავისუფლებელი ომის ატლეტს".

ისკანდერ ბეგის პოლიტიკურ მიღწევებს არავითარი ფასეულობით შედეგი არ მოუტანია ალბანეთისათვის. მას შემდეგ ალბანეთში დარჩა მხოლოდ პრობლემატური და მორეული მითი ისკანდერ ბეგის პიროვნების შესახებ, რომელიც როგორც ქრისტიანი მხედართმთავარი იბრძოდა ისლამური თურქეთის იმპერიის წინააღმდეგ.

პირველი ცდა საკუთარი სახელმწიფოს შექმნისა იყო 1910—12 წლებში, ბალკანეთის პირველი ომის შემდეგ. თურქეთის დამარცხებამ წარმოშვა საკითხი ალბანეთის დანაწილების შესახებ სერბიასა და ჩერნოგორიას შორის, მაგრამ ეს არ გამომდინარეობდა ავსტრო-უნგრეთისა და იტალიის ინტერესებიდან, რომლებსაც არ სურდათ ჰყოლოდათ სლავიანური კონკურენტი ადრიატიკის ზღვაზე. ამის თავიდან აცილება შეიძლებოდა მხოლოდ და მხოლოდ ალბანეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის გზით. 1912 წლის 28 ნოემბერს, ქალაქ ვალონაში გამოცხადდა დამოუკიდებლობა. ერთი წლის შემდეგ ალბანეთის სამეფო ტახტზეავიდა პრინცი ვილჰელმ ფონ ვიდი, რომელმაც ნახევარი წლის მეფობის შემდეგ დასტოვა ალბანეთი, რათა თავი დაეღწია სასახლეში შექმნილ ინტრიგისათვის.

უკანასკნელ ათეულ წლებში, ცნობილი გახდა მეფე ზოგუ პირველი. ის როგორც ისკანდერ ბეგი იყო ცნობილ ფეოდალურ გვარიდან და იწოდებოდა ახმედ ზოგოლად. პირველი მსოფლიო ომის დროს ახმედი ხელმძღვანელობდა ალბანელ მოხალისეებს და წარდგენილი იქნა პოლკოვნიკის ხარისხზე ავსტრო-უნგრეთის სასახლის ამალაში. მიუხედავად ამისა მას არ ენდობოდნენ და მიიწვიეს ვენაში, სადაც ის დარჩა.

დარჩა რა მეფედ, ის არ განირჩეოდა მაინცდამაინც დიდი პრინციპულობით, და რიგ რიგობით ღებულობდა ფულს ხან ინგლისელებისაგან და ხან იტალიელებისაგან.

1939 წელს ალბანეთი დაიკავეს იტალიის ჯარებმა. მეფე ზოგუ გაიქცა. ჩვენ არ ვიცით თუ რას ეძიებდა რომი ალბანეთში, ეძიებდა იგი ლობეს ადრიატიკის ზღვისათვის, თუ ერთდროულად დროს პლაცდარმს ბალკანეთის შემდგომი ექსპანსიისათვის.

გასაგებია, რომ არც ერთი ხალხი არ გრძნობს თავისთავს კარგად სტრატეგიულ საშუალებათა, ან ინსტრუმენტის როლში სხვა სახელმწიფოს ხელში. ამგვარად იტალიაში უკანასკნელად მომხდარმა ამბებმა გაალვივეს ალბანელ ხალხში სურვილი— შეექმნა დამოუკიდებელი ალბანეთის სახელმწიფო და გამხდარიყო თავისთავის ბატონპატრონი. ამგვარად ალბანეთი დაუბრუნდა ევროპის თავისუფალ ხალხთა ოჯახს.

ტირანა — ალბანეთის დედაქალაქი.

რეგენტთა საბჭო ალბანეთში

ტირანა, 25 ოქტომბერი.

ოფიციალური ცნობების თანახმად ალბანეთის ნაციონალურმა კომიტეტმა, კვირას, სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლება გადასცა რეგენტთა საბჭოს. რეგენტთა უმაღლესი საბჭო შესდგება ოთხი ალბანელი ავტორიტეტული პიროვნებისაგან, რომლებიც ნაციონალური კომიტეტის მიერ ერთხმად იყო არჩეული. ესენია: მედი ფრაშერი, ფუატ დიბრა, მღვდელი ანტონ ჰარაპი და ლეფ ნოსი.

ბადოლიოს მთავრობის ღალატის და ალბანეთში იტალიის საოკუპაციო ჯარების განიარაღების შემდეგ, შესდგა ალბანელი ნაციონალისტების ჯგუფი, რომელმაც დაარსა ნაციონალური კომიტეტი. კომიტეტმა იკისრა დროებითი მთავრობის ფუნქციები და გამოაცხადა ალბანეთი, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო. ამის შემდეგ შესდგა ალბანეთის ყველა პროვინციის წარმომადგენელთა ნაციონალური ყრილობა, რომელიც გაგრძელდა სამი დღე. ამ ყრილობამ დაადგინა: დაარსდეს რეგენტთა საბჭო, რომელიც ცნობილია, როგორც უმაღლესი და საბოლოო მთავრობა. გერმანიის მთავრობამ იცნო ალბანეთის დამოუკიდებლობა.

დაჭრილი გერმანელი ჯარისკაცების დაბრუნება

22 ოქტომბერს, გერმანიის ერთერთ ნავსადგურში მოვიდა გემი, რომელმაც ჩამოიყვანა მძიმედ დაჭრილი გერმანელი ჯარისკაცების პირველი პარტია. ეს ჯარისკაცები იმყოფებოდნენ ინგლისელთა ტყვეობაში.

ადოლფ ჰიტლერმა სამშობლოში დაბრუნებულ მძიმედ დაჭრილ ჯარისკაცებს გაუგზავნა მისალმების დეპეშა. გარდა ამისა თვითეულმა დაჭრილმა ჯარისკაცმა მიიღო საჩუქარი ადოლფ ჰიტლერისაგან. შემდეგი პარტია დაჭრილ ჯარისკაცებისა გერმანიაში ჩამოვა უახლოეს ხანში.

ირანის შაჰის მოგზაურობა

ანკარიდან მიღებული ცნობით ირანის შაჰმა იმოგზაურა თავის ქვეყანაში, რათა განამტკიცოს ხალხის განწყობილება. შაჰი ყოველმხრივ სცდილობდა თავიდან აეცდინა მეზველთა ბოლშევიკურ გარნიზონებთან. თეირანში დაბრუნებისთანავე შაჰმა ითათბირა ირანის მინისტრ-პრეზიდენტთან. დაარსებულია უმაღლესი კომისია ქვეყნის მომარაგებისათვის.

ანკარაში ჰფიქრობენ, რომ ამ ღონისძიებას აქვს მხოლოდ სიმბოლური და არა რეალური მნიშვნელობა.

ალყაშემორტყმული ჩუნკინგის ჯარები

იაპონიის გაზეთი „იომიური" იტყობინება, რომ იაპონურმა ნაწილებმა, რომლებიც წინ მიიწევენ იუნანის პროვინციაში, ალყა შემოარტყეს ჩუნკინგის განადგურებული დივიზიების ნარჩენს, რომელთა საერთო რიცხვი 20.000 კაცს უდრის. 18 ოქტომბერს, იაპონიის ჯარები შეუდგნენ ალყაშემორტყმული ჯგუფების განადგურებას. აჯამებს რა იუნანის პროვინციაში მომხდარ ბრძოლების შედეგებს, გაზეთი დასძენს, რომ ზედმეტია შიში ამ პროვინციიდან მოწინააღმდეგის ბირმაში შემოჭრაზე.

ახალი სამხედრო სახელწოდება ს. ს. რ. კავშირში

მოსკოვიდან ოფიციალურად იუწყებიან, რომ მთელ არმიაში შემოღებულია ახალი სამხედრო სახელწოდებანი. საარტილერიო, სატანკო, საავიაციო და სადაზვერვო ნაწილებში დაწესებულია „შეფმარშალის" სახელწოდება. მეფის არმიაში არ ყოფილა ასეთი სამხედრო ხარისხი.

მძაფრი ბრძოლები აზოვის ზღვასა და დნეპრის მუხლს შორის

გერმანიის ჯარის უმაღლესი სარდლობის 27 ოქტომბრის ცნობით ფრონტებზე შემდეგი მდგომარეობაა: მძაფრი ბრძოლა აზოვის ზღვასა და დნეპრის მუხლს შორის გრძელდება. მელიტოპოლის რაიონში საზღვაო სანაპიროების წინააღმდეგ ძლიერი ძალით წარმოებული ხელჩართული ბრძოლებით საბჭოებმა შესძლეს ცოტათი წინ წაწევა. ზაპოროჟიეს სამხრეთით ძლიერი სატანკო ნაწილების შემოტევებისას მტერმა განიცადა მარცხი დიდი დანაკარგით. ამ ბრძოლაში, გერმანელთა ერთმა სატანკო ასეულმა, რომელსაც უფროსი ლეიტენანტი გრაფ ფონ ლედებური მეთაურობს ყოველგვარი დანაკარგის გარეშე გაანადგურა მტრის 85 ტანკი.

დნეპრის მუხლის სხვა და სხვა მონაკვეთზე, გერმანელთა თავდაცვითი ხაზის წინააღმდეგ მტერმა აწარმოა უშედეგო შემოტევა. მტრის ერთი მოტორიზებული დანაყოფი, რომელიც ბრძოლაში გადმოისროლეს განადგურებულია გერმანელთა მიერ.

კრემენჩუგის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მტრის ერთადერთი კონტრშეტევა დაძლეული იქნა და მტერი უკუგდებულია პირვანდელ პოზიციებამდე. აღმოსავლეთის ფრონტის შუა უბანზე, ბოლშევიკების შემოტევანი კრემენჩუგის და სმოლენსკის აღმოსავლეთით განადგურებულია არტილერიის ძლიერი შეერთებული ცეცხლით და ნაწილობრივ ხელჩართული ბრძოლით. ადგილობრივი მნიშვნელობის შეტევანი, კონტრშეტევებით დაუყოვნებლივ იქნა აღკვეთილი.

რეინ-ვესტფალიის მე-16 სატანკო-ფეხოსანთა დივიზიონმა, გენერალლეიტენანტ გრაფ ფონ შვერინის მეთაურობით სამაგალითო და მნიშვნელოვანი მონაწილეობით, დნეპრის სანაპიროებთან და ზაპოროჟიეს მისასვლელებთან ბრძოლაში გმირობითა და მამაცობით ისახელა თავი.

სამხრეთ-იტალიის ფრონტის ზოგიერთ უბანზე, განსაკუთრებით ფოლტურნოსთან, კაპუას ჩრდილოეთით, გუშინ ადგილი ჰქონდა გაცხოველებულ და გერმანელთათვის წარმატებით ბრძოლას.

გერმანიის საბრძოლო და მოიერიშე თვითმფრინავებმა აწარმოეს თავდასხმა ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთით კუნძულ ლეროს პუნქტებზე, ნავთსადგურების და საარტილერიო პოზიციათა წინააღმდეგ. თავდასხმის შედეგად განადგურებულია მტრის მრავალი სამხედრო გემი და ტრანსპორტი.

მამაცი მზვერავი უთვალთვალებს მტერს

ფსევდოპატრიარქი

ბერლინისა და გერმანიის მიტროპოლიტს სერაფიმს, საუბარი ჰქონდა გერმანიის საინფორმაციო ბიუროს წარმომადგენელთან, ეგრეთწოდებული მოსკოვის პატრიარქის „არჩევის" გამო. საუბარში მიტროპოლიტმა განაცხადა, რომ ეს არჩევნები არა კანონიერია, ვინაიდან არჩევნების დროს არ ყოფილა დაცული საეკლესიო წესის ძირითადი საფუძვლები. პატრიარქის არჩევა უნდა მოხდეს ეპისკოპოსების კრებულზე. გარდა ამისა არსებული წესით პატრიარქის არჩევაში მონაწილეობა უნდა მიეღო 250 ეპისკოპოსს, მოსკოვის პატრიარქი კი არჩეულია 30 ეპისკოპოსის მიერ. ეს ფაქტი, რომ პატრიარქის არჩევა მოხდა საეკლესიო წესის დარღვევით, ადასტურებს ამ არჩევნების პოლიტიკურ ტენდენციას.

„მე პირადათ ვიცნობ მიტროპოლიტ სერგის, -განაცხადა მიტროპოლიტმა სერაფიმმა, — ის არის სწავლული ღვთისმეტყველი, მაგრამ ნებისყოფას მოკლებული ადამიანი. ჩემი საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს, მე მქონდა წარმოდგენა საბჭოეთში საეკლესიო ცხოვრების თავისებურებაზე. რამდენადაც მე ვიცი, მიტროპოლიტი სერგი არასოდეს არ ჰფიქრობდა იმაზე, თუ ბოლშევიკები შესძლებდნენ მის გადაქცევას საკუთარი მიზნების იარაღად. ამის გაკეთება მათთვის არ იყო ძნელი, რადგან მიტროპოლიტი მეტისმეტად ღრმა მოხუცებულია, ის თითქმის ყრუა და არ შეუძლია მოისმინოს რასაც ელაპარაკებიან.

ჩემი მოსკოვში ყოფნის დროს, საეკლესიო საქმეს საბჭოთა კავშირში განაგებდა ვიღაც ტუჩკოვი, პოლიტსამმართველოს თანამშრომელი. თუ ვინ არის დღეს მისი მოადგილე, ჩემთვის გაუგებარია. უდაოა ის გარემოება, რომ „არჩევნები" ორგანიზებულია შინსახკომის სათანადო განყოფილების მიერ. მიტროპოლიტ სერგის პატრიარქად ცნობაზე ლაპარაკიც ზედმეტია: იგი წარმოადგენს მხოლოდ ფსევდოპატრიარქს.

მოსკოვის მოთხოვნები

როიტერის სააგენტოს მოსკოველი კორესპონდენტის ცნობით, ბოლშევიკებმა მომავალ სამთა კონფერენციაზე ინგლის-ამერიკელებს წაუყენეს შემდეგი მოთხოვნილება:

1. საბჭოთა კავშირი მოითხოვს რათა მოლაპარაკება სწარმოებდეს პირველ რიგში მეორე ფრონტის შექმნის ირგვლივ. სხვა საკითხების განხილვა შეიძლება მას შემდეგ, როცა გადაჭრილი იქნება საკითხი მეორე ფრონტის შესახებ.

2. საბჭოების მხრივ ხაზს უსვამენ იმას, რომ დრო მუშაობს მოწინააღმდეგისათვის. ამავე დროს აღნიშნავენ, რომ წითელი არმია სამნახევარი თვის განმავლობაში აწარმოებს შეტევას, რომელიც იღებს უდიდეს სისხლის მღვრელ სახეს გერმანია-საბჭოთა ომის მთელს პერიოდში.

3. საბჭოები მოითხოვენ მუდმივ წარმომადგენლობას ინგლის-ამერიკის შტაბების ყველა სამხედრო თათბირებში, რათა მათ ჰქონდეთ საშუალება მოახდინონ გავლენა ომის წარმოების საკავშირო საერთო გეგმაზე.

4. საბჭოთა კავშირს არ სურს არავითარ შემთხვევაში ერთად განიხილონ საბჭოთა კავშირის დასავლეთის საზღვრების საკითხები.

მოსკოვის წრეების აზრით, ხელშეკრულება, რომელიც დადებული იყო 1941 წელს ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის, ავტომატურად ნიშნავს ინგლისის მხრივ ცნობას საბჭოთა კავშირის საზღვრების ტერიტორიულ ცვლილებისას და საზღვრებისას 1941 წლამდე.

როიტერის სააგენტოს ცნობები იძლევა მოსკოვის კონფერენციის პროგრამის არსის გაგებას.

სიტრინი შვერნიკის წინააღმდეგ

6—10 სექტემბრის განმავლობაში საუტპორტში (ინგლისი) მიმდინარეობდა ინგლისის ტრედუნიონელთა მე-75 კონგრესი. კონგრესს 23 პროფკავშირული ორგანიზაციისაგან ესწრებოდა 800 დელეგატი. ეს ორგანიზაციები აერთიანებენ დაახლოებით 6 მილიონ მუშას.

კონგრესის მუშაობაში, უკანასკნელი 18 წლის განმავლობაში პირველად მიიღო მონაწილეობა სსრ კავშირის პროფკავშირების დელეგაციამ, ს.კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, შვერნიკის მეთაურობით. თვით ეს ფაქტი, თავისთავად მეტად მნიშვნელოვანია. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ კონგრესის მიმდინარეობისას შვერნიკსა და ბრიტანეთის ტრედუნიონთა გენერალურ მდივანს სიტრინს შორის, რომელიც ამ რამოდენიმე ხნის წინათ მოსკოვში იმყოფებოდა, მოხდა სამარცხვინო შეტაკება.

სიტყვაში, რომელიც შვერნიკმა კონგრესზე მეტად დამცინავი ტონით წარმოსთქვა, მოითხოვა „მეორე ფრონტის" დაუყოვნებლივ შექმნა და იმ გაფიცვების შეწყვეტა, რომელსაც ინგლისის მუშები ახდენენ. შვერნიკმა აშკარად აღიარა, რომ ინგლისისა და ამერიკის მთავრობები, საბჭოთა მთავრობას დღემდე უწევდნენ მხოლოდ „მორალურ დახმარებას". ის ლაპარაკობდა ლამაზი ენით, მას სიტყვა რამდენჯერმე შეაწყვეტინეს აპლოდისმენტებით. სტალინური მოციქულის ორატორული ხელოვნებით, დატყვევებულმა ცეცხლისმქრობელთა პროფკავშირების წარმომადგენლებმა სასწრაფოდ შეიტანეს რეზოლუცია, რომელშიდაც მოითხოვდნენ „მეორე ფრონტის" დაუყოვნებლივ გახსნას. საბჭოთა დელეგატები ზეიმობდნენ გამარჯვებას! მაგრამ... სიტყვა აიღო სიტრინმა და თვალის დახამხამების უმალ განაცხადა, რომ ცეცხლისმქრობელთა კავშირის წარმომადგენელთა რეზოლუციამ დაიგვიანა, რადგან „მეორე ფრონტი" უკვე გახსნილია. ამერიკის სამხედრო ფლოტი გენუაში იმყოფება, ხოლო საფრანგეთის სანაპიროებზე ლამანშთან, ბულონთან და დიუნკირხენს შორის სწარმოებს დიდი ბრძოლები.

სიტრინის ამ განცხადებამ მოახდინა გამსკდარი ყუმბარის გავლენა. გაბარებულმა ცეცხლისმქრობელთა კავშირის წარმომადგენლებმა უკან წაიღეს თავიანთი რეზოლუცია, მაგრამ როგორც კი კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება არ ეწარმოებია დაწოლა ინგლისის მთავრობაზე, იმავე სიტრინმა ცინიკურად წამოიძახა, რომ მისი განცხადება იყო თავიდან ბოლომდე ცრუ. გაბრაზებულმა შვერნიკმა მოინდომა მაშინვე წარმოეთქვა მეორე სიტყვა, მაგრამ ამის უფლება არ მისცეს და ნერვების დასაწყნარებლად ოქროს საათით დაასაჩუქრეს. საათი შვერნიკმა სასწრაფოდ იჯიბა.

შვერნიკისა და სიტრინის შეტაკება დამთავრდა შვერნიკის სრული დამარცხებით. მართალია სიტრინმა მიმართა აკრძალულ მეთოდს, მაგრამ სხვა რამეს ასეთი „მებრძოლებისაგან" არ უნდა მოველოდეთ. ყოველ შემთხვევაში „მეორე ფრონტის" ორგანიზაციის საქმეს კონგრესმა მხარი არ დაუჭირა: ასეთ საქმეზე [illegible]—ძნელი საქმეა.

მდგომარეობა ფრონტებზე

კვირეული მიმოხილვა

გერმანიის უმაღლესი სარდლობის ცნობით, 23 და 24 ოქტომბერს აზოვის ზღვისა და ზაპოროჟიეს რაიონში ბოლშევიკებმა კვლავ სცადეს მსხვილი ძალებით გაერღვიათ გერმანელთა ფრონტის ხაზი, მაგრამ მათი ცდა უშედეგოთ დამთავრდა.

22 ოქტომბერს, ღამით, მელიტოპოლის ქუჩებზე ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, გერმანულმა ნაწილებმა დაიკავეს პოზიცია ქალაქის დასავლეთით მდებარე განაპირა უბნებში. ზაპოროჟიეს ჩრდილოეთით და კრემენჩუგის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მტერმა მსხვილი ძალებით განავითარა ახალი შემოტევა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკებმა შესძლეს დაეკავებინათ ზოგიერთი ტერიტორიის ნაწილი, მაინც ვერ მოახერხეს ფრონტის გარღვევა. ბრძოლა გრძელდება მთელი სიმძაფრით.

დნეპრთან, კიევის სამხრეთ-აღმოსავლეთით და სოჟის შესართავთან ბოლშევიკების შემოტევებმა მარცხი განიცადეს.

სამი დღეა გრძელდება ბრძოლა სმოლენსკის დასავლეთით. მიუხედავად ძლიერი საარტილერიო სროლისა და აგრეთვე ახალი საბჭოთა ჯარების გადმოსროლისა, ბოლშევიკებმა ვერ შესძლეს ამ რაიონში გერმანიის თავდაცვითი ხაზის გარღვევა.

სამხრეთ-იტალიის ფრონტის დასავლეთისა და შუა უბნებზე, მტერმა ძლიერი საარტილერიო მომზადებით და ტანკების დახმარებით აწარმოა რამდენიმე იერიში, მაგრამ ყველა ისინი გერმანელების მიერ მოგერიებულია ანდა ლიკვიდირებულია კონცენტრირებული ცეცხლით.

გერმანიის ბომბდამშენთა ძლიერმა შენაერთებმა იერიში მიიტანეს ნეაპოლის ნავსადგურზე, დაზიანებულია ნავსადგურის ნაგებობანი. სამხედრო საწყობებს გაუჩნდა ხანძარი.

ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთ ნაწილში, კუნძულ ლევიტაზე, გერმანელმა ჯარისკაცებმა, რომლებიც მოყვნენ ტყვედ, შესძლეს თავი დაეღწიათ ტყვეობისაგან. ამაში მათ დიდი დახმარება აღმოუჩინეს გერმანიის ავიაციამ და დასახმარებლად მოსულმა ძალებმა. გერმანელებმა ერთი ძლიერი დაკვრით ხელში ჩაიგდეს კუნძული.

გარდა ამისა 22 ოქტომბერს, გერმანული ნაწილები გადავიდნენ კუნძულ სტამპალიაზე და დასძლიეს რა ბრიტანელებისა და იტალიური ჯარის ნაწილების წინააღმდეგობა, რომლებიც მიემხრენ ბადოლიოს, აიღეს კუნძული, ხელთიგდეს მრავალი ტყვე და სამხედრო ნადავლი.

22 და 23 ოქტომბერს, ღამით, ბრიტანეთის ბომბდამშენთა შენაერთებმა მოახდინეს თავდასხმა გერმანიის შუა და სამხრეთ-დასავლეთის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით დაზარალდნენ ქალაქ კასელის საცხოვრებელი კვარტალები. არის ადამიანთა მსხვერპლიც. საჰაერო თავდაცვით ბრძოლაში საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მტრის 48 მძიმე ბომბდამშენი.

გერმანიის საჰაერო ძალებმა 23 ოქტომბერს ღამით, ხელმეორედ დაუშინეს ბომბი ლონდონის რაიონის ცალკეულ ობიექტებს. 24 ოქტომბერს ღამით, გერმანიის ავიაციამ დიდი წარმატებით მიიტანა იერიში ინგლისის ნავთსადგურზე გრეიტ-იარმუტზე და ცალკეულ მიზნებზე სამხრეთ ინგლისში. ატლანტის ოკეანეზე გერმანიის ბომბდამშენები თავს დაესხნენ მტრის ორ სადესანტო გემს, ერთი მათგანი პირდაპირი მოხვედრის შედეგად ჩაიძირა.

23 ოქტომბერს ღამით, ლამანშის წყლებში ადგილი ჰქონდა საზღვაო ბრძოლას გერმანიის ნაღმოსანთა და ბრიტანეთის კრეისერთა შენაერთებს შორის. ბრძოლის შედეგად გერმანიის ნაღმოსნებმა ჩასძირეს ბრიტანეთის ერთი კრეისერი და 2 საესკადრო ნაღმოსანი.

გერმანიის უმაღლესი სარდლობის ცნობებით 25 ოქტომბრიდან, განსაკუთრებით დაძაბული და მძიმე ბრძოლა მიმდინარეობს მელიტოპოლის სამხრეთით და ზაპოროჟიეს სამხრეთ-აღმოსავლეთით. ვიწრო სივრცეზე განლაგებულმა საბჭოთა დივიზიებმა განიცადეს უდიდესი დანაკარგი.

დნეპროპეტროვსკის ორივე მხარეზე, მოწინააღმდეგემ ისარგებლა რა ნისლით, შესძლო შექმნა ხიდმისასვლელი სიმაგრე დნეპრის დასავლეთის სანაპიროზე. კრემენჩუგის სამხრეთ-აღმოსავლეთით გრძელდება შეტევა-შეტევაზე, რომელსაც უპირისპირდება გერმანელთა კონტრშეტევა. ბოლშევიკების მთელი ყურადღება მიპყრობილია იქითკენ რათა როგორმე მოახდინონ გარღვევა კრივოიროგთან. ამ უბანზე გრძელდება მძიმე თავდაცვითი ბრძოლა. ძლიერი ბრძოლა მიმდინარეობს აგრეთვე სმოლენსკის დასავლეთით, სადაც გერმანიის ჯარებმა დაიბრუნეს დაკარგული სივრცე და გაანადგურეს ბოლშევიკური ჯარის ჯგუფები. ამ უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში აღმოსავლეთის ფრონტზე უმთავრესად სამხრეთ უბანზე განადგურებულია საბჭოთა 282 ტანკი.

სამხრეთ-იტალიის ფრონტზე სიწყნარეა. გერმანიის საჰაერო ძალებმა [illegible] ბომბები ლონდონის რაიონის ცალკეულ ობიექტებს.

მიმომხილველი

მაისის ღამეში

ლეგ. ტ. ბარათელი

მზე ჩავიდა, ვარსკვლავები აციმციმდნენ ცაში,
ზღვიდან ქარი წამოვიდა სიცილით და ტაშით,
დაუარა ალვის ხეებს, ჩაშრიალდა ტყეში
და ჩაჩუმდა ვარდების და ყვავილების თქეშში!

სურნელებით დაიბანგა ღამის ფრთხილი სუნთქვა,
მთვარის რძეში იბანავა ფრინველების გუნდმა,
ბულბულთ სივრცე აღარ ეყოთ შანგთა საკმეველად,
ტყიდან მხეცნიც დაძრულიყვნენ, გაჰქროდნენ ველად!

მე ხარკმლიდან ვუცქეროდი ბუნების ამ მეჯლისს
ცის მნათობთა ხინარნარს, მიწის შვილთა შეჯიბრს,
ვერ გავჩერდი, და სულ მარტო გაველ იქვე მინდვრად:
მეტი ცა და მეტი სივრცე, მეტი ტკბობა მინდა!..

აქ საამო სიგრილეა, იქ კი —ხედავთ? მყინავს,
თეთრი მთვარე დასციმციმებს თმაჭაღარა მყინვარს,
მხოლოდ თოვლის მწვერვალები, მხოლოდ ნისლის ხევი,
არსად ბუჩქი, არსად ვარდი, თეთრი სანახები!

მე ფიქრებმა გამიტაცეს ამ მიწიდან მთამდე:
ო, როგორ მსურს ვარდი ვიყო, რომ ქვეყანას ვრთავდე,
რომ წავიღო ეს ფერები და სურნელი ტყისა,
იქ დავტოვო და გავხადო საკუთრება მთისა!

მაშინ ორივ იქნებოდა ხომ ნამდვილი ბაღი,
სიყვარულით დახტკბებოდა ბევრი გული ლაღი!
მთის წყარონი მოიტანდნენ ბარში იმათ ამბავს,
მზის ნათელით შემოსილებს, ყვავილებში ნაბანს!

ან თვით მთვარე ვერ გვეტყოდა მთის სიხარულს ახალს?
ვარსკვლავები დამალავდა, რაც პირველად ნახა?
ანდა ნისლი, — ხშირად მთიდან რომ წამოვა გაშლით,
ალბად ვეღარ წამოიღებს თუ რა ხდება მთაში?

მაგრამ მართლა: ის მოხუცი, თავის თეთრი წვერით,
ილიას რომ მოევლინა ბოროტების წყევლით,
რად არა ჩანს მყინვარიდან? სად წავიდა ნეტავ?!
ნუთუ ბნელმა განთიადის კარი გადაჰკეტა?!

ნუთუ თავის ქვეყნის ბედი ტვინს და გულს არ უხრავს?
ის სიტყვებიც დაივიწყა, ბრძენ პოეტს რომ უთხრა:
მე ვინახავ ნათელ სახეს, ცეცხლში ნაწრთობ გულებს,
ახლოს აღარ ვიკარებთ განწირულის წუწუნებს!..

უხლა, უხლა სად წავიდა? კვლავ რად არ ჩანს მთაზე?
ძილს მიეცა? მერე რატომ? რის გულისთვის? რაზე?..
გულში ხევდა დამეუფლა, უფსკრულების წინ ვარ
და ბუნების ხილამაზეც გაქრა თვალთა წინა!..

ისევ ოთახს დავუბრუნდი დასეტყვილი გულით...
ცა და მიწა მთლად დამშრალა და რა მოკვლავს წყურვილს!..
მთელი ღამე ფიქრმა მტანჯა, ვერ მოვიკალ დარდი,
თვალწინ მედგა მთა მყინვარი და მოხუცის ლანდი!..

ბიბლიოგრაფია

ს. ბერეძიანი „ნაწერები"
გაზ. „საქართველოს" გამოცემა.

ახლახან გმოვიდა ქართული ლეგიონის საველე ბიბლიოთეკის მორიგი წიგნი სიმ. ბერეძიანის „ნაწერები". წიგნში მოთავსებულია თხუთმეტი ლექსი, ერთი პოემა, მოგონებანი ვაჟაზე და მოთხრობა „ნიკოლას" ნაწყვეტები. კრებულს წინ უძღვის ე. ნოზაძის პატარა წერილი „სიმონ ბერეძიანი" და მ. ტულუშის კრიტიკული მიმოხილვა „სიმონ ბერეძიანი და მისი შემოქმედება".

ს. ბერეძიანს ქართველი ლეგიონერები იცნობენ მხოლოდ ერთი ლექსით, რომელიც დაბეჭდილი იყო ჩვენს გაზეთში.

ამ კრებულით ლეგიონერებს საშუალება აქვთ ახლოს გაეცნონ ს. ბერეძიანის შემოქმედებას, მაგრამ სამწუხაროდ, როგორც გამომცემლობა გვაუწყებს კრებული შეიცავს სიმონ ბერეძიანის პოეზიის მხოლოდ იმ ნაწილს, რომლის შეგროვება მან შესძლო. წიგნის გარეშე ჯერ კიდევ რჩება მრავალი გამოუქვეყნებელი ლექსი.

წიგნში მოთავსებულ თვითეულ ლექსიდან მკითხველი დაინახავს ს. ბერეძიანის პოეტურ ალმასურნას, უსაზღვრო სიყვარულის გრძნობას მამულისადმი, მშობელ მიწისადმი. იგი იბრძოდა საქართველოსათვის არა მარტო კალმით, არამედ იარ[...]ით ხელში აღმოსავლეთის ფრონტზე. საქართველო ს. ბერეძიანისათვის იყო ხატება, ალგზნების წყარო. თვითეულ ჩვენგანს ალბათ ახლაც მოესმის მისი ომახიანი, ქართული პატრიოტული სიტყვები:

„თუ გამარჯვება არ არსებობს სისხლის
გარეშე,
მხოლოდ სისხლისთვის გიხმობსთ ჩემი
ბუკი-ნაღარა!
ისე არ ჩავალ, ცით მოსული ბნელ
სამარეში,
თუ არ შევღებე მტრების სისხლით ჩემი
ჭაღარა!
ვარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი
ჭირისუფალი,
ერის ბრწყინვალე მომავლით მსურს
გავიხარო,
თუ საქართველო არ იქნება
თავისუფალი,
დე, მტვრად ქცეული დამენახოს მთელი
სამყარო!"

რამდენიმე სიტყვა გვინდა ვსთქვათ ბ-ნ ტულუშის წერილზე. წერილი იძლევა ბერეძიანის ცხოვრებისა და შემოქმედების ვრცელ განხილვას, გადმოგვცემს საინტერესო ცნობებს პოეტის შესახებ, მაგრამ შიგ ვხვდებით უხეიროდ და სტილისტურად ჟღალად გაუმართლებელ ადგილებს. ტულუში ხმარობს გამოთქმას პოეზიის ტემპერატურა (?). ჩვენთვის გაუგებარია რა არის პოეზიის ტემპერატურა? ვერც ბ-ნ ნოზაძეს დავეთანხმებით იმაში, რომ სიმონიკას ღირსსა და სიერცის გარეშე ვხედავთ, თუმცა იგი ჩვენი თანამედროვე იყო.

მართალია ლიტერატურაში არსებობს ასეთი გამოთქმა დიდი მწერლების მიმართ, მაგრამ იგი ამ შემთხვევაში სრულად არ ეგუება ბერეძიანს.

გაზეთ „საქართველოს" გამომცემლობამ უეჭველად კარგი საქმე გააკეთა ს. ბერეძიანის „ნაწერების" გამოცემით. კრებულის ყდა შესრულებულია ლეგიონერი მხატვრის ევგენიძის მიერ. იგი მეტად ორიგინალურია. წიგნი შეიცავს 96 გვერდს. გაზეთ „საქართველოს" მუშაობა საველე ბიბლიოთეკის შექმნის დარგში მისასალმებელია, ვუსურვებთ რედაქციას შემდგომშიც ასე განაგრძოს ჩვენი ერისათვის და ქართველი მებრძოლი ახალგაზრდობისათვის სასარგებლო საქმე.

ლეგ. შ. ა.

„ტიგრი" აღმოსავლეთის ფრონტზე

რას გვასწავლის წარსული

ქართველი ერი მსოფლიოში ყველაზე უძველესი ერია. ტიგრისა და ეფრატის სათავეებიდან მან თავი კავკასიის კლდის კალთებს შეაფარა. ეს უძველესი კავკასიური ერი თავისი კულტურით ევროპულ ერს წარმოადგენს.

ქართველი ერი უხსოვარ დროიდან დაკავშირებულია ევროპასთან. შავი ზღვა იყო დამაკავშირებელი ევროპასა და საქართველოს შორის, რადგან საქართველო იყო და არის შავი ზღვის ქვეყანა. არგონავტების შემოსვლა კოლხიდაში, შავი ზღვის ერთერთ სანაპიროზე, ადასტურებს, რომ ჯერ კიდევ ქრისტიანიზმის შემოსვლამდე ქართველ ერს ურთიერთობა ჰქონდა ევროპულ ერებთან უმთავრესად ბიზანტიასთან და რომთან. ლეგენდა ქართული ამირანის კავკასიის ციცაბო კლდეზე მიჯაჭვის შესახებ, მოგვაგონებს ბერძნულ მითოლოგიას, პრომეთეოსის შესახებ, რომელიც ხალხის სამსახურის გამო ოლიმპიელი ღმერთების მიერ იყო დასჯილი. ეს ლეგენდაც დამადასტურებელია ქართველი და ევროპულ ერთა სულიერი კავშირისა.

დიდმა მხედართმთავარმა ალექსანდრე მაკედონელმა თავისი ბრწყინვალე ოპერაციები დაიწყო შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროდან, მისი ძლევამოსილი ჯარები საქართველოში წააწყდნენ სერიოზულ წინააღმდეგობას. გარდა ბიზანტიელებისა, საქართველო პირისპირ შეხვდა რომაელ ლეგიონერებს. ქრისტეს წინ, პირველ საუკუნეში, რომის დიდი სარდალი პომპეუსი ბრძოლით შემოვიდა საქართველოში. ბრძოლა ამ მრავალრიცხოვან ლაშქართან, ქართველებისათვის ძნელი იყო, ამიტომ ქართულმა პოლიტიკამ არჩია ზავი ჩამოეგდო.

საინტერესოა ბიზანტიელების, რომაელებისა და ქართველების ურთიერთობა. საქართველოში ხმლით შემოჭრილ ბიზანტიელებსა და რომაელებს შეუპოვარი ხვდებოდა ქართველი ერი; ისინი ვერ ახერხებდნენ ქართველთა დამონებას, რადგან მათ აქ, კავკასიის მთის ფერდობებზე ხვდებოდა ძლიერი ქართული სული.

ამგვარად ბრძოლა რომსა და საქართველოს შორის დამთავრდა იმ ზავით, რომლითაც საქართველო მოკავშირე შეიქმნა დიდი რომის, ევროპული სახელმწიფოსი. ეხლა უკვე რომაელი ლეგიონერები და ქართველი მხედრები ერთად იბრძვიან საერთო მტრის — სპარსელების წინააღმდეგ. ორი საუკუნე იმყოფებოდა საქართველო რომის პროტექტორატის ქვეშ, რომელმაც დიდი სულიერი დაღი დაასო ქართულ ევროპულ ურთიერთობას.

მაგრამ მარტო ბრძოლის ველზე ეცნობოდნენ ქართველები ევროპიელებს? ევროპის საუკეთესო მეცნიერები და მოგზაურები მოდიოდნენ საქართველოში. ქრისტეს წინ, კოლხიდასა და იბერიაში მოგზაურობდა ბერძენი სტრაბონი, რომელმაც აღწერა საქართველოს ყოფაცხოვრება. ამრიგად ქართველი ერი მჭიდროდ დაუახლოვდა ევროპულ ერებს, უმთავრესად ბიზანტიელებსა და რომაელებს.

ევროპული ცივილიზაცია უცხო არ ყოფილა ქართველებისათვის. მართლაც ქრისტიანულ მოძღვრებას, ქართველები იცნობდნენ ჯერ კიდევ მეორე საუკუნიდან. ევროპული ქრისტიანიზმი, დაემყნო რა ელინიზმს შემოდის ჩვენში, როგორც ევროპული სარწმუნოება, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს ევროპასა და საქართველოს სულიერ კავშირს. ამას ისიც უნდა დაერთოს, რომ როცა საქართველოს წალეკვით ემუქრებოდა მუსულმანური ტალღა, ქართველობის ნაწილი თავისი ნაციონალური სახისა და სარწმუნოების შესანარჩუნებლად კათოლიკურ (ევროპულ) სარწმუნოებას ღებულობდა. დღესაც ახალციხის მაზრის სოფელ უდეში მცხოვრები ქართველობა თავის თავს ფრანგს ეძახის.

მე-4 საუკუნეში ქრისტიანიზმის სახელმწიფო ოფიციალურ სარწმუნოებად გამოცხადებამ, საქართველო უფრო დაუკავშირა ევროპას. ქრისტიანიზმის გაბატონების შემდეგ საქართველო ევროპის ფერხულშია ჩაბმული და აზიის კარიბჭესთან დგას, როგორც ევროპული ცივილიზაციის მატარებელი და ამავე დროს, როგორც ავანპოსტი ევროპული კულტურისა აღმოსავლეთში.

მე-8 საუკუნის ნახევრიდან მე-10 საუკუნის დასასრულამდე საქართველოს სამხრეთ ნაწილში ისტორიული ტაო-კლარჯეთი ხდება ქართული კულტურის სავანედ. ამ პერიოდში საქართველო პოლიტიკურად და კულტურულად დაკავშირებულია ბიზანტიასთან. იწყება ინტენსიური ელინოფილური პერიოდი. ტაო-კლარჯეთის ცენტრია ქალაქი არტანუჯი, რომელიც წარმოადგენდა იმ პერიოდში ბიზანტიური და ქართული კულტურის შემაერთებელ ცენტრს.

ევროპული სარწმუნოების — ქრისტიანიზმის მიღების შემდეგ, საქართველო ყოველთვის წარმოადგენს ორი მსოფლიოს — ევროპისა და აზიის ბრძოლის არენას. სპარსელებმა და არაბებმა ვერ შესძლეს ფეხის მოკიდება საქართველოში. არაბები, აზიის იდ. მკვიდრნი და მატარებელნი აზიური კულტურისა, საქართველოდან მიდიან და ქართველი ერი კვლავ ევროპის ორბიტაშია ჩაბმული. ამრიგად, ევროპა საქართველოზე დაყრდნობით სცდილობს თავისი კულტურის გავრცელებას აზიაში.

როდესაც ბიზანტიას აუჯანყდა მცირე აზიის ბიზანტიური კოლონიების მართველი სკლეროსი და იმპერია საფრთხის წინაშე იდგა, იმპერატორმა დახმარებისათვის ევროპის სულიერ მეგობარს და ტრადიციულ მოკავშირეს საქართველოს მიმართა. ევროპული (ბიზანტიური) ფილოსოფიაზე აღზრდილმა ქართველმა ნიჭიერმა სარდალმა თორნიკე ერისთავმა ქრისტეს ჯვარი დროებით ვეიზე გადასდო და მდინარე ჰალისის ნაპირებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა მტერს და ბიზანტიის იმპერია იხსნა განსაცდელისაგან.

იმ დიდ შეჯახებაში ევროპასა და აზიას შორის, რომელიც მსოფლიო ისტორიაში ცნობილია ჯვაროსანთა ლაშქრობით და წარმოადგენს ევროპული კულტურის ბრძოლას აზიურ-მუსულმანურ კულტურის წინააღმდეგ, საქართველო, როგორც ევროპული ერი, ამ ბრძოლის მოწინავეთა რიგებში იყო. პოლიტიკურად, ეკონომიურად და ნაციონალური სულით ძლიერმა საქართველომ 1121 წელს დიდ გორთან ბრძოლაში, დაამარცხა აზიურ-მუსულმანური სამხედრო სტრატეგია. ეს ბრძოლა არ ყოფილა მარტო ქართული მასშტაბის ბრძოლა, არამედ დიდ გორის ომი იყო ერთი იმ რგოლთაგანი, რომლის საკვანძო ცენტრი ევროპაში უნდა ვეძიოთ ჯვაროსნული ლაშქრობის სახით.

დიდი თამარის ძლიერი საქართველო ეს ი. ევროპის აზიაზე გამარჯვება და თუ ჩვენ გულმოდგინეთ შევისწავლით ამ ეპოქას დავინახავთ, რომ თამარის მთავრობის საგარეო პოლიტიკა ყოველთვის ევროპული იყო. თამარის საქართველოში შემავალი, მის მიერ დაარსებული ტრაპიზონის იმპერია იყო ევროპული, იგი არსებობდა საქართველოს პროტექტორატით. მაშასადამე ბრძოლაში, რომელსაც აწარმოებდა ევროპა აზიის წინააღმდეგ, საქართველო წარმოადგენდა ევროპის ციტადელს.

ქართველობა, რომ ევრ[ოპ]ული ერია ამას ადასტურებს ისიც, რომ მე-12 საუკუნეში ჩვენ გვაქვს იყალთოისა და გელათის აკადემიები. ქართული კულტურის ცენტრები

(დასასრული მე-4 გვ.)

იცით თუ არა თქვენ?

...თუ ვის დაუდგეს მსოფლიოში ყველაზე უფრო დიდი ძეგლი საფლავზე? ჩვენი წელთაღრიცხვის დაწყებამდე, ეგვიპტის ფარაონები ავიდოდნენ რა სამეფო ტახტზე, დაუყოვნებლივ გასცემდნენ ბრძანებას დაეწყოთ მშენებლობა საკუთარი საფლავის ძეგლისათვის — პირამიდებისათვის. პირველად აღიმართებოდა საშუალო ზომის დანადგარი აკლდამითურთ. შემდეგ, ყოველწლიურად ამ აკლდამას ემატებოდა კირის ქვის თითო ფენა. პირამიდაში არსებული ქვის ფენათა რაოდენობით შეიძლებოდა იმის განსაზღვრა, თუ რამდენი წელს იმეფა აკლდამაში მოთავსებულმა ფარაონმა. ფარაონის სიკვდილის შემდეგ მთავრდებოდა უკანასკნელი ფენა, ხოლო საფეხურებიანი ზედაპირი სწორდებოდა თიხითა და სხვადასხვა ზომის ქვებით.

ყველაზე დიდია ხეოპსის პირამიდა. ის შენდებოდა 30 წლის განმავლობაში. მის აშენებას დასჭირდა 2 და ერთი მეოთხედი მილიონი ქვის სწორკუთხედი. მისი სიმაღლე იყო 146 მეტრი ე.ი. 10 მეტრით დაბალი კელნის ტაძარზე. 5.000 წლის განმავლობაში ქარმა და ცუდმა ამინდებმა ეს პირამიდა დაადაბლეს მხოლოდ 9 მეტრით.

...რომ ინდოელთა ენაზე სიტყვა „ტაბაკ“, ნიშნავს „ჩიბუხს“ საიდანაც ისინი სწევდნენ სხვა და სხვა ბალახებსა და ფოთლებს! როდესაც საფრანგეთის ელჩმა ნიკომ, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია თამბაქოში არსებული ნიკოტინის სახელი, ლისაბონიდან ცენტრალურ ევროპაში პირველად გამოგზავნა თესლი, მაშინვე ჩიბუხში მოსაწევ მასალას უწოდეს ჩიბუხისავე სახელი და დაარქვეს „ტაბაკ“. დიდი ხნის შემდეგ თამბაქოს ფოთლებისაგან დაიწყეს სიგარების დამზადება. გერმანიაში სიგარების პირველი ფაბრიკა დაარსდა ჰამბურგში 1788 წელს.

...რომ ყველაზე უფრო დიდი გამოყენება მეურნეობაში აქვს ისლს? ის გავრცელებულია მთელ ევროპაში, ჩრდილოეთ აფრიკაში, აზორის კუნძულებზე, მცირე აზიაში, დასავლეთ ციმბირში, კანადის აღმოსავლეთ სანაპიროებზე და შეერთებულ შტატებში. ჩრდილოეთ გერმანიის დაბლობებში ისლი ითვლება ყველაზე ძვირფას თაფლისმქონე მცენარეთ. ალპურ ქვეყნებში კი ისლი ცნობილია, როგორც სარეველა ბალახი, რადგან ის უხვად იზრდება მთიან საძოვარ ადგილებში. გარდა ამისა ისლის ყვავილისაგან ამზადებენ გემრიელ სითხეს, რომელიც გამოიყენება როგორც ჩაი. ისლი აგრეთვე გამოიყენება როგორც ყავისფერი საღებავი, უკიდურეს შემთხვევაში მას ხმარობენ საქონლის საკვებად, იყენებენ სახლების სახურავებად და სხვ. გარდა ამისა მისგან ამზადებენ საქონლის საკვებ ფქვილს და სხვადასხვა გვარ ჩოთქებს.



პოლარულ მიდამოებში. გერმანელთა ვეებერთელა მანძილმზომი.

საინტერესო თემაზე

შემაძრწუნებელი რიცხვები

უკანასკნელ ხანებში, გიბრალტარის ნავთსადგურში თითქმის ყოველ დღე მოდის, მძიმედ დაჭრილი ინგლისელი და ამერიკელი ჯარისკაცებით და ოფიცრებით გავსებული გემები. ესპანეთის პრესამ მსოფლიოს აცნობა ამ ფაქტის შესახებ და რადგან საიდუმლოება გამომჟღავნდა, ჩერჩილმა მოინდომა შეემსუბუქებია მთაბეჭდილება, რომელიც გამოიწვია ამ ამბავმა ინგლისის მოსახლეობაში. მან გადასწყვიტა როგორმე გამომძვრალიყო იმ პასუხისმგებლობიდან, რომელიც მას ეკისრება ათიათასობით დაღუპული და დასახიჩრებული ინგლისელი მოქალაქისათვის. ჩერჩილმა გადასწყვიტა თავისი ხალხის დანაკარგი წარმოედგინა ქარიტატიური სახეებში და ეს მან, მართლაც სრულიად ორიგინალურად გააკეთა.

ლონდონის პრესამ ყოველგვარი მიზეზის გარეშე, დაიწყო ჩივილი იმაზე, რომ ინგლისს, მისი სურვილის წინააღმდეგ, არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია შეასრულოს საბჭოთა კავშირის შეკვეთები სამედიცინო ინსტრუმენტებზე და მედიკამენტებზე. არ შეუძლია და არ შეუძლია. მერე რა? ალბად თავისი ავადმყოფებიც საკმარისი ჰყავს — იფიქრებს მკითხველი. მაგრამ ჩერჩილის პროპაგანდა, წავიდა კიდევ უფრო შორს და გამოაქვეყნა, თუ როგორი იყო სტალინის დაკვეთა ამ მხრივ. დაკვეთა მართლადაც რომ გამაგიჟებელია.

75.000 ქირურგიული მაკრატელი 50.000 ქირურგიული ნემსი, 10.000 რენტგენოლოგური აპარატი, 100.000 კილოგრამი ასპირინი, 100.000 კილოგრამი გლუკოზა, 200.000 ბოთლი ინსულინი და 10.000.000 მორფის ამპულა“. ამ რიცხვებს ჩვენ დავარქვით შემაძრწუნებელი რიცხვები, რადგან ამით ჩვენ ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ის დიდი დანაკარგი, რომელსაც წითელი არმია განიცდის. ათი მილიონი მორფის ამპულა ესაჭიროება სტალინის მიერ დასახიჩრებულ ხალხს! ათი მილიონი! მაგრამ არც ამ ტკივილების დამაყუჩებელ ამპულებს და არც სხვა წამლებს საბჭოთა ავადმყოფები და დაჭრილები ვერ მიიღებენ. ვერ მიიღებენ რადგან ინგლისელებს თვით ესაჭიროებათ ყოველივე ეს და ჩერჩილი ვერასდროს ვერ შესძლებს ამის დაფარვას. მას ვერ უშველის მოკავშირეების საიდუმლოებათა გამცემლური გამომჟღავნება და ფარისევლური მანჭვა-გრეხა ობივატელთა წინაშე.

ახალი კომეტა

რუმინელმა პროფესორმა დიმაკამ, 3 სექტემბერს, აღმოაჩინა ახალი კომეტა. რამდენიმე დღის შემდეგ ეს აღმოჩენა დადასტურებულ იქნა ფოტო სურათით. ახალი კომეტა იმყოფება ვესოს თანავარსკვლავედში. მას ეწოდება „დიმაკას კომეტა“.

რას გვასწავლის წარსული

დასასრული

მოწყობილია საქართველოს გარეთ სწორედ ევროპაში — ბიზანტიაში, ბულგარეთში და რომში.

ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდობა იგზავნება განათლების მისაღებად ევროპაში; შოთა რუსთაველი სწავლობდა საბერძნეთში, მან ღრმად შეისწავლა არისტოტელისა და პლატონის ფილოსოფია, სოლონისა და პერიკლეს სახელმწიფო წყობა. მან მიიღო საფუძვლიანი ევროპული განათლება.

მე-15 საუკუნის დასაწყისში დაეცა მეორე მსოფლიო სამღვთო ქალაქი კონსტანტინეპოლი; ისლამმა ფეხი შესდგა ევროპაში და საქართველო რკალშემორტყმული აღმოჩნდა მუსულმანური ქვეყნების მიერ. დავით აღმაშენებლის და დიდი თამარის ჯადოსნური ხელით შექმნილი ძლიერი საქართველო დაეცა მუსულმანურ სამყაროსთან უთანასწორო ბრძოლაში, ამიერიდან ევროპას აღარ შეეძლო მისთვის რეალური დახმარება გაეწია.

მიუხედავად ამისა საქართველო მაინც ახერხებს შეინარჩუნოს ევროპასთან სულიერი და კულტურული კავშირი. 1629 წელს რომში ქართველმა სასულიერო მოღვაწეებმა დაარსეს ქართული სტამბა და ქართული ენის კათედრა. საქართველოს საკითხი იდგა რომის სენატში, ფრანგ მეფეთა სასახლეში. ქართული დიპლომატიის საუკეთესო წარმომადგენელის, მოგზაურის და ორატორის, სულხან საბა ორბელიანის მჭერმეტყველური გამოსვლას რომის სენატი ოვაციებით შეხვდა.

მე-16 საუკუნიდან ქართულმა დიპლომატიამ დახმარებისათვის [illegible] მიმართა, რომელიც იწყებდა ევროპის ფერხულში ჩაბმას. რუსეთს თავისთავი ბიზანტიელთა მემკვიდრედ მიაჩნდა, მაგრამ რუსული სლავიანიზმი ძალზე შორს იდგა ელინიზმისაგან.

რუსეთის იმპერიამ, დაპყრობილ საქართველოში შემოიღო აზიურ-დესპოტური სისტემა მართვა-გამგეობისა, მაგრამ მიუხედავად ამისა საქართველო მაინც ახერხებს ევროპასთან სულიერი კავშირის შენარჩუნებას.

მე-18 საუკუნის ევროპის განმანათლებელი ფილოსოფიის გავლენა დიდია საქართველოზე. ვოლტერიანიზმი სამეფო სასახლეშიც შეიჭრა. დავით ბატონიშვილი იმდენად გატაცებული იყო ვოლტერიანობით, რომ ამან სერიოზული უთანხმოებაც კი ჩამოაგდო ბატონიშვილსა და მეფეს შორის. მეფემ ოთახში ჩამოკიდული ვოლტერის სურათი ჩამოგლიჯა და ცეცხლს მისცა.

1907 წელს საქართველომ თავისი პოლიტიკური უფლების აღდგენისათვის კვლავ ევროპას მიმართა ჰაგის კონფერენციის სახით.

1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა შესაძლებელი გახდა გერმანელი ხალხის დახმარებით; გერმანიის რაიხსტაგში დაიწერა ისტორიული აქტი, რომლის ძალით საქართველო ცნობილია სრულუფლებიან და სუვერენულ სახელმწიფოდ.

1924 წელს კვლავ დაიჭქა ქართველმა ერმა ევროპაში. ქართველი ერის ამ ნაციონალურ აჯანყებას რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ გამოეხმაურა ევროპის მოწინავე ქვეყნები და მოსთხოვეს საქართველოს უფლებების ცნობა საერთაშორისო სამართლისა და უფლების ძალით.

რით არის გამოწვეული ქართველი ერის გატაცება ევროპით? ერთი იმით, რომ ქართული კულტურა არის ევროპული კულტურა. გეოგრაფიული მდებარეობა აიძულებს მას ეყოს ევროპის სისტემაში, როგორც ავანპოსტი ევროპასა და აზიას შორის. მეორე მხრივ ევროპა არის მატარებელი იმ დიდი ცივილიზაციისა (ქრისტიანიზმის სახით) რომლის დაცვაში საქართველომ აუარებელი მსხვერპლი გაიღო.

ევროპა არის სამშობლო არისტოტელისა და პლატონის, დანტესა და ბოკაჩიოსი, სერვანტესისა და მიქელანჯელოსი, ფიხტესი, კანტაკრუსის, ვოლტერის, ფრიდრიხ დიდისა, კენიგსბერგელი ფილოსოფოსის ემანუილ კანტისა, ჰეგელის — აზრისა და გონების უდიდესი მწვერვალის, მოცარტისა და ბეთხოვენის, გოეთესი და შექსპირის, ლუტერისა და ლესინგის.

ევროპული კულტურა არის კაცობრიობის გონებისა და აზროვნების შენაძენი და ამ ფერხულში ქართველი ერი ჩაბმული იყო ჯერ კიდევ ქრისტეს წინ, როცა კოლხეთისა და პონტოს სანაპიროზე ბიზანტიელებისა და რომაელების სახით საქართველო სულიერი კავშირში იმყოფებოდა ევროპიულ ერებთან.

ჩვენი ბრძოლის აზრი ნათელია — ჩვენ ვიბრძვით ჩვენი ეროვნული თავისუფლებისათვის, მაგრამ ისეთ პატარა ერს, როგორიც ქართველი ერია როდი შეუძლია დამოუკიდებლად ჩაებას ამ გიგანტურ ბრძოლაში, ამისათვის ჩვენ, როგორც ჩვენმა წინაპრებმა ავირჩიეთ გზა ევროპისაკენ, ევროპასთან ერთად. ამ ბრძოლაში კვლავ დახმარებას გვიწევს ქართველი ერის ისტორიული მეგობარი დიდი გერმანელი ხალხი.

ლეგ. პონტოელი

ჭადრაკი

ამოცანა №1

ლეგ. თამაზი.



თეთრები: მეფ f3, ლ f2, კ c8, a2, c3. (5)

შავები: მეფ d5, c5, d6. (3)

შამათი 2 სვლაში

იმ მიზნით, რათა ჩვენს ლეგიონერებს მივსცეთ თავისუფალ დროს გონიერი გართობის საშუალება, დღეიდან, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ვიწყებთ საჭადრაკო ამოცანებისა და ეტიუდების ბეჭდვას. ქვემოთ მოთავსებული ამოცანა ეკუთვნის ერთერთ ლეგიონერს. მისი იდეა, ისე როგორც ყველა საჭადრაკო კომპოზიცური შემოქმედებისა, მდგომარეობს მასში, რათა გაამახვილოს მოთამაშის აზროვნება და ასწავლოს თუ როგორ შეიძლება მაქსიმალურად შემოკლებული გზით თამაშის ბოლომდე მიყვანა. შამათი ორ სვლაში, არსებითად ნიშნავს, თეთრების მიერ შავების მეფის, მეორე სვლაზე დაშამათებას. ამოცანის გადაწყვეტის დროს, სვლას ყოველთვის იწყებენ თეთრები. მათი პირველი სვლა უნდა იყოს გადამწყვეტი და შავების საპასუხო სხვა და სხვა სვლებზე, რჩება უცვლელი. დაუშვებელია, რომ თეთრებმა პირველი სვლით ქიში გამოუცხადონ შავების მეფეს, ან და დაიკავონ მის ირგვლივ არსებული, თავისუფალი ადგილი. თეთრების პირველი გადამწყვეტი სვლის შემდეგ შავების ყოველგვარ პასუხზე თეთრებმა უნდა შესძლონ შავების მეფეს დაშამათებით უპასუხონ. თუ ეს მათ ვერ შეძლეს, ცხადია თეთრების პირველი სვლა ყალბია. ამიტომ მოთამაშემ უნდა დაიწყოს თავიდან და ეძიოს გამართლებული პირველი სვლა, რომელიც არსებითად ამოცანის გადამწყვეტია. ეს სვლა ერთადერთია და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ერთ და იმავე ამოცანაში იყოს ორი, ან რამდენიმე. ლეგიონერებო სცადეთ № 1 ამოცანის გადაწყვეტა და გვაცნობეთ თქვენი პასუხი.

ჯოხი რომელსაც ორი ბოლო აქვს

აღწერენ რა ჩერჩილის დაბრუნებას ლონდონში, ამერიკის და ინგლისის ყველა ჟურნალისტი, ხაზგასმით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ბრიტანეთის პრემიერმა დაიწყო ორჯერ უფრო გრძელი სიგარების მოწევა, ვიდრე წინათ. თითქოს პირობა შეუკრავთო, ყველა ჟურნალისტი ჰხედავს ამაში გამარჯვების სიმბოლოს თითქოს ჩერჩილი ორმაგათ უფრო კარგ ხასიათზეა რუზველტთან შეხვედრის შემდეგ. მაგრამ რატომ ჰგონიათ, უფრო კარგ ხასიათზეა და არა ცუდ ხასიათზე? ხომ შეიძლება, რომ ორმაგათ გრძელი სიგარა შეიძლება სულ სხვანაირადაც აეხსნათ... მაგალითად, ბატონ უინსტონ ჩერჩილმა დაიწყო ორჯერ გრძელი სიგარების წევა იმისათვის, რომ ის უკანასკნელ ხანებში ორჯელ მეტად ნერვიულობს. მან გადასწყვიტა ნიკოტინით მოიწამლოს თავი და ამით დაასრულოს თავისი სიცოცხლე.

რედაქციისაგან!

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი სხვა და სხვა ტექნიკური მიზეზის გამო შეიცავს 4 გვერდს. მომავალი ნომერი გამოვა ჩვეულებრივი ზომით.

მთავარი რედაქტორი
ახმეტ. ზაი მადაურიძე
რედაქციის მისამართი:
Georgische Zeitung „Sakarthwelo“.
Berlin W 8, Behrenstraße 65, III.

Deutscher Verlag, Berlin.
ქართული სტამბა: არჩილ მეტრეველისა.